„მუშათა განთავისუფლება—მუშათა საქმეა“

საქ. რევოლიუციონერ სინდიკალისტთა მაშვრალთა [illegible]

ახალი ნაკადი

ფასი 1 მან. 50 კ.

№ 35 კვირა 20 ივლისი 1919 წ.

გაზეთი ამთავითვე გამოვა კვირაში ერთხელ კვირაობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის

გ ა ზ ე თ

„ახალი ნაკადი“-ზე

გაზეთი გადიდებული ფორმატით გამოვა კვირაში ერთხელ კვირაობით

გ ა ზ ე თ ი ს ფ ა ს ი:

ერთი თვით 4 მან., ცალკე ნომერი 1 მან.

დაკვეთა შეიძლება წლიურად. მიიღება განცხადება.

ხელის მოწერა მიიღება გაზეთის კანტორაში სასახლის ქ. № 5, იქვე შეიძლება მდივნის ნახვა დილის 9—2 საათამდე და საღამოს 6—8-დენ.

ღრმად დამწუხარებული მღვდელი იოილ ფანჩულიძე და მცირე წლოვანი შვლები მისი თამრო და შოთა გულდათუთქული აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ, რომ ოცს ამა მკათათვეს, დღით კვირას, ათი საათიდან დაიწყება წლის თავის წირვა და პანაშვიდი ჩხარის ოქონის მაცხოვრის ეკლესიაში პირველის უძვირფასესის მეუღლის, ხოლო მეორენის უსაყვარლესის დედის

ესმა გრიგოლის ასულის

გვეტაძე-ფანჩულიძისა

სულის მოსახსენებლად.

დღეს გაზეთის შინაარსი:

1) საქართ. რესპუბ. მუშათა და გლეხთა მოძრაობა და მისი რევოლიუციონური სულისკვეთება.
2) კვირეული.
3) სადღეისო მუსაიფი.
4) ლექსი გრ. ცეცხლაძისა.
5) საქ. რევოლ. სინდიკ. მაშვრ. კავშირის პროგრამის ზოგადი დებულებანი.
6) ლექსი· [illegible]
7) დამფუძნებელი კრება და კონსტიტუცია.
8) ჟურნალ-გაზეთებიდან.
9) ქუთაისის ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა კრება.
10) ხაშურის ს.-ფედერალისტთა ორგანიზაციას.

საქართველოს რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მოძრაობა და მისი რევოლიუციონური სულის კვეთება.

2.

ჩვენ პირველ წერილში გავარკვიეთ ქართველ მუშათა და გლეხთა წარსული პოლიტიკური მოძრაობა და მისი დღევანდელი სულისკვეთება. ამ წერილში კი ვეცდებით დავახასიათოთ დასასრული პოლიტიკური მოძრაობისა და დღეს მის მიერ წამოყენებული აუცილებელი და საჭირო კლასიური დიფერენციაცია. არის ისტორიის ზოგადი კანონები რომლის განვითარება სხვადასხვა წესით სწარმოებს თითეულ ერში, მაგრამ ისტორიას აქვს ისეთი საერთო კანონი, რომლის გარდუვალობა აუცილებელი მოვლენაა თვითეულ ერისათვის.

მაგალითად ჩვენს ერს არ აქვს ძველი საუკუნოების კომუნათა შორის აღმოცენებული წოდებათა ბრძოლა. ჩვენი ერი არ იცნობს სამღვდელოების ძალაუფლებისათვის ბრძოლას. ჩვენმა ერმა არ იცის მოქალაქეთა სისხლის ღვრა ძალაუფლებისათვის, ჩვენს ერს არ აქვს ისტორია გლეხთა აჯანყებებისა პოლიტიკური და ეკონომიური უფლებისათვის. მუშათა მოძრაობის. სამაგალითო ორგანიზაციებს და გაафთრებულ ბრძოლას მეპატრონეთა მეფისა და სამღვდელოების წინაამდეგ მეცხრე საუკუნიდან იცნობს ევროპა, და ჩვენ არამც თუ მისი მგზავსი მოგვეპოვება თუ გინდ მახლობელ საუკუნეების. სიტყვა მუშა მეცხრამეტე საუკუნემ მისცა საქართველოს.

ყოველ ერში ფეოდალიზმი ალაგმა ბიუროკრატიამ მეფე და ბიუროკრატიული რეჟიმის შეცვლაში ზედმეტნაკლებათ მონაწილეობა იკისრა მსხვილმა ბურჟუაზიამ ჩვენს ქვეყანაში მაგის მზგავსი არაფერი მომხდარა. პოლიტიკურად დაპყრობილ ერში ეროვნულ იდეებს ყველგან აღვივებდა თავად-აზნაურობა, სამღვდელოება და ბურჟუაზია. სადაც ბევრი შემთხვევაა ისეთი რომ მუშათა კლასი რამდენიმე ათეულ წლობით დაჩაგრული ერის ნაციონალისტურ მოძრაობას ჩაუნთქავს პოლიტიკურად და ეკონომიურად. ჩვენს ქვეყანაში ერის გასანთავისუფლებლად გამოვიდა მუშათა პარტია და უკან გაიყოლა, როგორც წინა წერილში ვთქვი სხვა დასხვა კლასი და წოდებანი.

როგორც აქ ჩამოთვლილ მაგალითიდან დაინახავს მკითხველი შესაძლებელი ყოფილა ისტორიის ზოგად ცვლილებას ასცდეს ესა თუ ის ერი, სხვადასხვა მოვლენით. მაგრამ აბა ვინ გაბედავს და იტყვის, რაც ჩვენ ისტორიული მსვლელობა დაგვაკლდა და არ გაგვივლია ამიერიდან უნდა დაუბრუნდეთ მასო ან და რადგან ჩვენ ვერაგულათ წარსულში საერთო ისტორიული მსვლელობა ამიერიდანაც ვერ გავყვებით მის კანონიერ მსვლელობასო“. არა ჩვენ შეგვიძლია ბევრს რასმეში სულ მალე დავეწიოთ ჩვენზე ისტორიულათ წინ წასულ ერებს და ზოგი დღეს მასთან ერთად განვლოთ.

ასეა თუ ისე საქართველომ განვლო ბრძოლა ეროვნულ თავისუფლებისათვის, რომელიც აერთებდა მთელ ერს, განვლეთ ბრძოლა პოლიტიკურ თავისუფლებისათვის, რომელსაც შეეძლო რამდენიმე კლასი ერთად ვეტარებინეთ. დღეს კი გვაქვს ეროვნული თავისუფლება და პოლიტიკური თავისუფლება, რითაც მივადექით აუცილებელ და საჭირო კლასიური ინტერესების მიხედვით სასტიკ დანაწილებას.

ეს მოვლენა ყოველი ერის ისტორიის აუცილებელი და საერთო კანონია.

რაც უნდა მცირე იყოს რიცხვი პროლეტარიატისა და ღატაკ გლეხკაცობისა, ჩვენ მაინც უნდა გავიმიჯნოთ მსხვილი და წვრილი ბურჟუაზიისაგან, ჩვენი კლასიური ინტერესების მიხედვით, ეს აუცილებელი მოვლენაა ჩვენთვის იმ შემთხვევაშიაც კი რომ წარმოვიდგინოთ ვითომდა ხვალ ჩვენი ქვეყნის გარეშე პირობებმა სოციალიზმი მოაყენა კარზე საქართველოს. როგორც ერი მას ვერ მიიღებს და ძალით რომ შემოიჭრას დიდათ მავნებელი იქნება ქართველ ერისთვის და მის მშრომელ კლასისთვის, ცუდის მეტი არავითარი ღირებულება არ ექნება სოციალიზმის შემოსვლას საქართველოში. როცა ჩვენ გვეყოლება წმინდა კლასიური ინტერესების მიხედვით დარაზმული პროლეტარიატი და ღატაკი გლეხ-კაცობა, მხოლოდ მას შეუძლია ისარგებლოს გარეშეთ დამყარებული სოციალისტური რევოლიუციის პირობებით და შიგნით მეჩანთა უმრავლესობას და ბოლოლა ბურჟუაზიას დააყრევინოს ბატონობის იარაღი და თვით უხელმძღვანელოს და განაგრძოს სოციალიზმის განვითარება.

ქართულმა მუშათა მოძრაობამ დღეიდან როგორი ორიენტაციის გზაც არ უნდა აირჩიოს მისი დიფერენციაცია და კლასიური ინტერესების მიხედვით გადაჯგუფება აუცილებელი მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

ეს აუცილებლობის კანონი ჩვენ შეიძლება გადავიხადოთ ორნაირი საშვალებით:

1) **გზა**. შეიძლება საქართველოს მუშათა მოძრაობა კიდევ რამდენიმე ხნით დარჩეს დღევანდელ მეჩანთა ხელში, რომელმაც დაიწყო კი არა თავისი აუცილებლობით შესტოპა კიდეც კლასიურ მოძრაობის გარყვნილების მორევში. მისი იქიდან გამოსვლას თუ ევოლიუციას მიენდობით იმ შემთხვევაში მოხდება შემდეგი დღევანდელი მეჩანთა ხელქვეშით მოზნექილი და მოტყუილებული მუშების და გლეხთა ორგანიზაციები გაივლიან უაღრეს სულიერ დაცემას და ნამდვილ კლისიურ მოძრაობას მხოლოდ მომავალ თაობას უანდერძებენ. ამის ნიშნები დღესაც თვალსაჩინოა.

2) **გზა** შეიძლება ქართველმა მუშებმა ანგარიში გაუწიონ დღევანდელი ჩვენს გარეშე დამყარებულ რევოლიუციონურ პირობებს და მის მიერ გამოწვეული სუბიექტიური შეგნების ძალდატანებით რევოლიუციონურათ გაიაქმნა მოახდინოს დღევანდელი ყალბათ შედგენილი მუშათა და გლეხთა ორგანიზაციების.

ჩვენ ამ წერილით ვიცი ვერ ვასიამოვნებთ მუშათა სახელით მოლაპარაკეებს, მაგრამ ჩვენ მათ რისხვასაც გაუმაგრდებით, თუმცა მათი ყურთასმენა არ გვაინტერესებს არც სიამოვნებისთვის და არც უსიამოვნებისათვის. ჩვენ ამ წერილით გვსურს ფაქტის წინაშე დავაყენოთ ქართველი პროლეტარიატი და ღატაკი გლეხ-კაცობა- იქნებ თქვენც გაგვიჯავრდეთ სოფლის და ქალაქის მუშა ამხანაგებო, მაგრამ იქონიეთ მოთმინება და ჩვენს შორის გაჯავრებასაც და მეგობრობასაც უფრო მეტი ფაქტიური საქმის ხასიათი მივსცემთ შეიძლება შემდეგ ორივენი ბევრად უფრო მახლობელი და ერთი და იგივე ინტერესის მქონე აღმოვჩნდეთ თქვენ დღევანდელ პოლიტიკურ ექიმბაში.

1) კითხვა კლასიურ ამხანაგებს: თქვენ ამხანაგებო დასრულებულათ მიგაჩნიათ თუ არა ეროვნული თავისუფლებისთვის ბრძოლა?

2) პოლიტიკური ბრძოლის მოვალეობას შესრულებულათ. სთვლით თუ არა?

თუ პირველი კითხვა შესრულებულათ არ მიგაჩნიათ მაშინ დაგვისახელეთ კიდევ რა ლოზუნგები გაქვთ ეროვნული თავისუფლებისათვის.

თუ მეორე კითხვას სრუყოფილათ არ სცნობთ, მაშინ გვითხარით კიდევ რა პოლიტიკური ლოზუნგი დაგრჩათ განსახორციელებელი. ჩვენც თქვენთან ვართ და თუ ჩვენთან ერთად თქვენც თანახმა იქნებით რომ ჩვენ დავასრულეთ ბრძოლა პოლიტიკური და ეროვნული თავისუფლებისათვის მაშინ კიდევ ინებეთ რამდენიმე შეკითხვა.

3) შესაძლებლად მიგაჩნიათ თუ არა ორგანიზაცია და მისი გზა, რომელიც წარმოშვა და გაზარდა უმთავრესად პოლიტიკურმა მიზანმა, რადა მიზანი მიხწეულია იგივე ორგანიზაციამ და მისმა გზამ მთლიანათ შეუძლია ემსახუროს მუშათა ეკონომიურ განთავისუფლებას?

4) შესაძლებლად მიგაჩნიათ თუ არა ბურჟუაზიულ სახელმწიფოს სათავეში მდგომი იმავე დროს მესვეური იყოს მუშათა ორგანიზაციებისა და ბურჟუაზიული სახელმწიფო და მუშათა ორგანიზაცია ერთნაირათ მართოს.

5 პროლეტარულ და ღატაკ გლეხკაცთა ორგანიზაციის წევრობას განსაზღვრავს თუ არა მისი ეკონომიური მდგომარეობა.

სინდიკალისტი

კვირეული

**

ჩვენი წინასწარი თქმა იტალიის შესახებ გამართლდა... მუშათა კლასმა ხელიდან არ გაუშვა მარჯვე მომენტი და წითელი ამბოხების დროშა აღმართა. ტელეგრაფმა ცნობა მოიტანა, რომ ლამაზი ფლორენციაც კი შეიბურა წითელი დროშებით, იგი მუშების ხელში გადავიდა და პროლეტარიატი თავდადებით შეუდგა ახალი ხანის შექმნას, წინაამდეგ თავისი ქვეყნის სქელ კისრიან ბურჟუაზიისა და მუქთა ხორების, რადიოს ამის შესახებ მხოლოდ მოკლე ცნობა წამოსცდა, იტალიაში დიდი არეულობა მომხდარა, რამოდენიმე ასი კაცი დაჭრილიაო“. ეს ოფიციალური ცნობა, თავდებია იმისი რომ რაღაც დიდი და ანგარიშ გასაწევი მომხდარა, რომელიც ვერ დაფარა „ფოლადის სალტე“ შემოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებულმა ევროპამ. ფაქტი მოხდა! ჩვენთვის სწორედ ეს იყო საინტერესო ნაციონალისტურ ბურუსიდან თავი დაახწია პროლეტარიატმა და კლასთა სამკვდრო სასიცოცხლო ომი დაიწყო. აწ გეზი და მიმართულება თვით რევოლიუციონური სტიქიონის საქმეა. ჯერ-ჯერობით კი ცხადია' რომ იტალეთიც გამოვიდა პროლეტარულ ბრძოლის ველზე და ამით მუშათა და გლეხთა რევოლიუციას ერთი მეტად ძვირფასი და კეთილშობილი მოკავშირე მიემხრო... ვუსურვოთ იტალიელ მუშებს და გლეხებს დაბლა არ დახარონ რევოლიუციის წითელი დროშა და სოციალისტურ პროლეტარიატთან ერთად განაგრძოს გზა თავისუფლების ლამაზ იდეალებისკენ!..

**

წინა კვირეულში აღვნიშნეთ დენიკინის მიერ მრავალი და თითქოს ბრწყინვალე გამარჯვებანიც... მაგრამ! მშვენივრად უპასუხეს უკრაინელმა გლეხთა და მუშათა საბჭოებმა! ხმალსხმალი შემოეგება—დენიკინს, საბჭოთა სარდალი პოდვოისკი! და დენიკინის უნტერ-ოფიცრების თავხედი ბრბო უკან გამორბის მან უკვე დასტოვა ქალაქი ხარკოვი!.. ეს მარტო არ აკმარეს და წითელი ტერორის ლანდი მოსვენებას უკარგავს იმედგაცრუებულ ბურჟუაზიას და ყოფილ მეფის მონა-მსახურებს! იწყება საშინელი ჰიდილი მაგრამ ამ ჰიდილში აშკარავდება ერთი სალახანა, რომელიც პირდაპირი უბედურებაა—რუსეთის რევოლიუციისა. ეს გახლავთ მესამე ელემენტი, რომელიც ორივეს თავს უკრავს პეტრეს და პავლეს—მტერსაც და მოყვარესაც.

მისთვის სულ ერთია! დენიკინი თუ საბჭოთა რუსეთი; გამვლელს თავს უკრავს—მომსვლელს ულიმის, ოღონდა იშოვნოს და ერთსაც და მეორესაც რაიმე გამორჩეს და გამოსტყუვოს... ყველას ტაშს უკრავს! ყველას ექალაჩუნება! ეს მესამე გახლავთ რუსეთის მოქალაქე „მეშჩანი ანუ ობივატელი“, როგორც მას უწოდებენ! და სწორედ ყველაზე საძაგელი რუსეთის რევოლიუციის მსვლელობაში ეს უბადრუკია. და ამიტომაც მუშათა კლასი ამ ცბიერ წევრს უნდა ყველაზე ფრთხილად ეპყრობოდეს!-. არსებითად, დიდი, ეროვნული შეტევა, ჯერ კიდევ არ დაწყებულა თუმცა ამისთვის უკვე საკმაოდ მოემზადა ორივე მხარე. არის თუმცა ერთგვარი წვრილმანებთა დემონსტრაცია, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ მოასწავებს გენერალურ შეტაკებებს—თუმცა მისი წინამორბედი კია... მხოლოდ ერთი რამ კი ცხადია ეხლა გაბრაზებული გლეხობა და მუშები უეჭველად მოიყვანენ სისრულეში იმ სიტყვას რომელიც საბჭოთა ყრილობაზე წარმოთქმულ იქმნა „დენიკინი თვით კავკასიის პიტალო კლდეზე უნდა მივახრჩოთო“. ვნახოთ და გარემოება უკეთ გვაჩვენებს...

**

მთიელები გააფთრებით იბრძვიან თავის დამოუკიდებლობის აღსადგენად.

მაგონდება შამილის სიტყვები რუსის ენერალს რომ უთხრა მთის არწივმა; გუნიბი დიდი და მაღალი მთაა, იქ მართლ-მორწმუნე მუსულმანები ხმლით იცავენ თავის მაჰულს და სჯულს, რუსები ძირს არიან, ალლახი ყველაზე ზევით! დეე ხმალმა გადასჭრას ბედი ჩვენი''!.. ვაგლახ შამილის ამაყი ძვლები უკვე ისტორიულ მოგონებათა წარსულში განისვენებენ! მაგრამ თავისუფლების მოყვარული მთა ისევ განაგრძობს ბრძოლას და დენიკინის დამსჯელი რაზმები ამაოდ სცდილობენ შეაჩერონ ეს ძლიერი წადილი და გულის თქმა მთის ხალხისა.

მის წიაღიდან ისევ იბადებიან ახალი მამულიშვილები და მთა ეძიებს თავის ძველ ბუდეს თავისი ფრთებ შეკვეცილი არწივის—შამილისას!

და ამიტომაცაა მისი ბრძოლა ასე გააფთრებული, ამიტომაცაა მისი ცეცხლი დაუშრეტი...

**

ბათუმი! ჩვენი ძვირფასი თვალმარგალიტი ბათუმი გადაიქცა ბუდეთ ჩვენი მტრებისა და ორგულების, ბათუმის წიაღში ბარტყობს ყველა ძველი მოძულე ქართველი ხალხის და რეაქციის შავი ბუილები იქ პოულობენ ნოყიერ ნიადაგს, რათა აქედან მოსწამლონ სისხლი ქართველი ერის და მით ლახვარი ჩასცენ ჩვენ სიცოცხლესა და თავისუფლებას! ენერალი რომანოვსკი პირველი შხამია ამ მხრით, მოღალატე ქართველთა გულის ნადებზე აღმართა მისი ბნელი ძრახვა და დენიკინის ჯავშანი იფარავს მას! მისი მოხსენება სავსეა ღვარძლიანობით და იგი ემუქრება საქართველოს არსებობას კონტ-რევოლიციონური რუსეთით. ქართველ ხალხს ყველაზე კარგად ახსოვს ენერლების პოლიტიკა და მისი ჟანგიანი მახვილიც, ჩვენს წინააღმდეგ ესოდენ მტრულად მიმართული, უნდა ჩაგებულ იქმნას...

**

მოსკოვმა ისევ მიმართა მთელი ქვეყნის მუშებს: მოსკოვის პროლეტარიატი დღეს ყველაზე მეტ განსაცდელშია ჩავარდნილი. მას ირგვლივ ცეცხლის სალტე შემოარტყეს, მაგრამ არის რადაც რაინდული და დიდებული ამ თავდადებულ, რუსის ხალხის შვილებში, მთელი მოწინავე მუშები და გლეხები მრავლად მოედვენ ყველა რუსულ ფრონტებს და რევოლიუციას მეტად კეთილშობილურად, მეტად ლამაზად მტრებისა და ავაზაკებისგან იცავენ. განა ცოტანი არიან თავაღებული სარდლები დღეს პროლეტარულ ქვეყნიდან განდევნილნი, რომლებიც მოკავშირეებს ევედრებიან, რათა ქვეყანა მათი დაიფარონ“. კოლჩაკი, იუდენიჩი, დენიკინი, პეტლიურა, გრიგორიევი და სხვები, რომელთა ირგვლივ შეიყარა შავი რუსეთი და ეძიებს მუშებისა და გლეხების რუსეთის დამხობისა და დაღუპვას, მაგრამ სწორედ ამ ძიებაში, იმალავს თავს საერთაშორისო რევოლიუციის ენერგია და რაც დრო გადის რუსეთის მუშების ხმაზე თანდათან მოდიან შრომის სამეფოს შავი ბიჭები...

დიახ მომენტი მეტად რთულდება...

**

უკანასკნელი ცნობების მიხედვით რევოლიუციის ქარიშხალი უკვე მოედვა ქალაქებს კანადას. ვინიპეგს, ფინლანდიის ნავთსადგურებს და მრავალ ტანჯული ელზასიც კი აპირებს წითელი რევოლიუციონური გვირგვინით მოიკაზმოს თავი. ყველგან მუშათა დიდი მღელვარებებია, ყველგან გააფთრებული დათარეშობს, რევოლიუციონური სტიქიონი... დიდი მიწის ძვრის ნიშნები უკვე ხელთა გვაქვს და მუშათა კლასი ყველაზე ფრთხილათ უნდა იყოს ამ დროს!

ორი ბანაკი თან და თან გარკვეულ სახეს ღებულობენ და თან და თან გვიახლოვდება დიდებული მომენტი როდესაც მსოფლიომ უნდა სამარადისო ძეგლი აუგოს ბატონების, მეფეების და კოროლების უბადრუკ ხსოვნას.

ბურჟუაზიის ვაკხანალიას, რომელსაც ამ ბოლო დროს მთელი ქვეყნის იმპერიალისტები ვერ მალავდენ და აშკარად მუშათა კლასის ზურგზე საზეიმო დღესასწაულებს აწყობდნენ უკვე ბოლო ეღება და ბრძოლის ველზე გამოდიან ახალი გოლიათები შრომის სამეფოდან. ის ცეცხლი რომელიც უკვე დაინთო ევროპის მიდამოებზე ყველაზე უფრო დიდი და ორგანიზაციულ ხასიათს ატარებს თავისი დარაზმულობით და მუშების მომზადებით. იქ იბრძვიან ჩვენი წითელი ძმები—რევ. სინდიკალისტები. და ამიტომაცაა რომ იტალიის, საფრანგეთი ინგლისის მუშები ასე დინჯათ და დიდებულის თავდაჭერით გამოდიან საერთაშორისო ბრძოლის ველზე

შრომის კონფერენციები, ფედერაციები, სინდიკატები უკვე სარევოლიუციო მდგომარეობის ნიადაგზე დგანან მად მიერ უკვე გადმოსროლილია ლოზუნგი საყოველთაო რევოლიუციის გასაჩაღებლად და ცხადია, ქარხნის ძველი რაინდები სამკვდრო სასიცოცხლო ომს უცხადებენ, სასახლეების თეთრ-კანიან ბინადრებს.

ჩვენ საქართველოს რევ. სინდიკალისტებმა უნდა ფრთხილად შევხვდეთ ამ მომენტს და გულთან ახლოს მივიღოთ ჩვენი ევროპიელი ძმების სარევოლიუციო გამოსვლა!

ს. კოლხიდელი.

სადღეისო მუსაიფი.

4.

კარგათ ვიცით,- ამას თვით ფრ. ენგელსი ადასტურებს.—რომ „კომუნისტური მანიფესტი'' მარქსისა და ენგელისის მიერ დაწერილი იყო 1848 წ. მხოლოდ თებერვალში. ამიტომ უეჭველი და ცხადია, რომ ამ მანიფესტს სრულებით არ შეეძლო რაიმე გავლენა მოეხდინა 1848 წ. რევოლიუციის გამოწვევისა ან დაჩქარების საქმეში, ვინაიდან ეს რევოლიუცია სწორეთ თებერვალში მოხდა, თუმცა ბევრია ისეთი მლიქვნელი და ცბიერი ისტორიკოსი, რომელნიც ფიქრობენ, რომ ამ მანიფესტმა ვითომც რაიმე მნიშვნელობა და გავლენა იქონია 1848 წ. რევოლიუციაზე. ეს რევოლიუცია მხოლოდ ფურიერისტებისა და ლუი ბლანის პრინციპებისა დი მოღვაწეობის განსახიერება და გამომჟღავნება იყო. მაგრამ ეს სხვათა შორის.

ამ ხანათ კი ჩვენ გვაინტერესებს ის გარემოება, რომ მანიფესტში ცხადათ და აშკარათ გატარებულია ის დედა-აზრი, რომ სოციალური რევოლიუცია მიუცილებელი საქმეა და რომ პროლეტარიატი სამკვდრო-სასიცოცხლოთ შეებრძოლება ბურჟუაზიას, რათა სოციალისტური მეუფება დაამყაროს: ეს საქმე აშკარა თავ-დასხმისა და თავგანწირული შეჯახების შედეგი იქნება და არა ნელი პროცესისა. იქ, სადაც მანიფესტი მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ პროლეტარიატმა ძალა-უფლება უნდა ხელში ჩაიგდოს და ბურჟუაზიული წარმოება კოლეკტივისტურზე უნდა შესცვალოს, მანიფესტში ხაზ გასმით ასე სწერია: ,,მართლაც აქ იმაზეა ლაპარაკი, რომ უნდა იქნეს მოსპობილი ბურჟუაზიული პირადობა, ბურჟუაზიული დამოუკიდებულება და ბურჟუაზიული თავისუფლება''. ქვევით იგივე მანიფესტი გვიცხადებს, რომ ,,პროლეტარიატი, ისარგებლებს თვისი პოლიტიკური ბატონობით, რომ ბურჟუაზიას ზედი-ზედ თავდასხმით მთელი კაპიტალი გამოსტაცოს, რათა შრომის ყოველგვარ იარაღს სახელმწიფოს ხელში თავი მოუყაროს''. ,,რასაკვირველიაო'',—განაგრძობს იგივე მანიფესტი,—,,ეს ისე მოხდება, რომ პროლეტარიატი პირველ ხანათ აწარმოებს დესპოტიურ თავ-დასხმას საკუთრების უფლებასა და წარმოების ბურჟუაზიულ პირობებზეო''.

ამ ამონაწერიდან მსითხველი ცხადათ ხედავს, როს ბოლშევიკების დღევანდელი ტაქტიკა და მოქმედება უტყუარი ცდაა, რომ მარქსის თეორიული მოსაზრება პრაქტიკაში, ცხოვრების სინამდვილეში გატარდეს და განხორციელდეს, რადგან ბოლშევიკები აწარმოებენ ბურჟუაზიაზე პირდაპირ თავდასხმას და ბურჟუაზიის თავისუფლებასა და უფლებას ზღუდავენ, სპობენ პირადობასა და დამოუკიდებლობას ბურჟუაზიისას. ბოლშევიკებმა ბურჟუაზიის უფლება კიდევაც შეზღუდეს იმით, რომ მას არ ანიჭებენ უფლებას, ან ხმა მისცეს ან არჩეულ იქნეს საბჭოებში *). აღარ ვიტყვით იმის შესახებ, რომ ბოლშევიკებმა ბურზუაზიული საკუთრების უფლება გააქარწყლეს და წარმოების ბურჟუაზიული პირობანი მოსპეს, ჩამოართვეს რა ბურჟუაზიას შრომის ყოველგვარი იარაღი და ყოველსავე ამას თავი მოუყარეს სახელმწიფოს ხელში. თუ არ ეს, მაშ რაღაა დესპოტიური თავდასხმა, რომელზედაც მანიფესტი მოგვითხრობს? ცხადია ბოლშევიკების ტაქტიკა მანიფესტის ნიადაგზე სდგას და მანიფესტის ფარგლებში ანხორციელებს სოციალიზმს ისე, როგორც 1848 წ. თებერვლისა და მაის-ივანობისთვის რევოლიუცია ცხადი ცდა იყო, რომ ფურიესა, ფერიესტებისა და ლუი ბლანის მოძღვრება და პრინციპი განხორციელებულიყო ცხოვრებაში, ახლაც ბოლშევიკების მიერ წარმოებულია მედგარი ცდა, რომ სოციალიზმი განხორციელდეს მანიფესტის თვალ-საზრისით. შესაძლებელია თუ არა ეს, ეს სხვა საკითხია.

მაგრამ უტყუარია ის დებულება, რომ მენშევიკებს ყველაზე ნაკლები უფლება აქვთ და ნამუსიც არ უნდა შესწევდეს მათ, რომ ბოლშევიკების ტაქტიკა გაჰკიცხონ ან არ მოიწონონ. მაგრამ ეს დაუჯერებელი ამბავი მაინც ხდება ჩვენი თვალისწინ დღეს. როდეს ყოველგვარი უსირცხვილობა და უნამუსობა მზის სინათლეზეა გამოტანილი: საქართველოსა და გერმანიის მენშევიკები სინამდვილეში აწარმოებენ ბოლშევიკთა წინააღმდეგ სასტიკ მოქმედებას. რომელიც მანიფესტის თვალ-საზრისათ ყოვლად დასაგმობი საქციელია. მიუდგომელი ადამიანისათვის ეს მიუწდომელი საკვირველებაა!

ახლა ვიკითხოთ, თვით მარქსის შეხედულებით როდის უნდა გაჩაღდეს პროლეტარიატის ,,დესპოტიური თავ-დასხმა'' ბურჟუაზიაზე? ამის პასუხს თვით მანიფესტი და მარქსისვე პირადი მოღვაწეობა იძლევა. მანიფესტი გვეუბნება: ,,გერმანიის ბურჟუაზიული რევოლიუცია იქნება მხოლოდ პირდაპირი დასაწყისი (непосредственнымъ прологомъ) მუშური რევოლიუციისაო''. ამასვე ადასტურებს ის ფაქტიც, რომ, როცა მარქსმა გაიგო (იგი ამ დროს პარიზში იყო ემიგრანტათ), ბერლინში ამბოხება მოხდაო, თვის გაზეთში საჯაროთ განაცხადა, რომ ეს ამბოხება არის შესავალი სრული რევოლიუციისაო (введеніе къ полной революціи). ამ ორი განცხადებიდან აშკარავდება, რომ მარქსი აღიარებდა სოციალური რევოლიუციის სიახლოვეს, მის მიუცილებლობასა და შესაძლებლობას მაშინაც კი, როცა გერმანიაში ბურჟუაზიული რევოლიუცია იფეთქებდა. დღეს ჩვენ ვიცით, რომ ასეთი ბურჟუაზიული რევოლიუცია მოხდა გერმანიაში 1848 წ. დასასრულს მაშასადამე, მარქსი დარწმუნებული იყო, რომ ეს რევოლიუცია დასაწყისი იყო მუშური რევოლიუციისა, ე. ი. სოციალური რევოლიუციისა, რომ მარქსს ეს ასე ეგონა და კიდევაც სწამდა, ამას ისიც ამტკიცებს, რომ თვით მარქსი ამ რევოლიუციის მონაწილე და პირდაპირი მომქმედიც იყო. იგი ამ მოქმედებისთვის პასუხის გებაში იქნა მიცემული და 1849 წ. ცხრა თებერვალს იგი გაასამართლა ნაფიც მსაჯულთა სასასამართლომ. ჩვენ ისიც ვიცით, რომ მარქსი ლონდონში იმყოფებოდა, როგორც თავმჯდომარე ინტერნაციონალისა, და იგი ამ უკანასკნელის სახელით დირეკტივებს დირეკტივებზე უგზავნიდა საფრანგეთის კომუნარებს 1871 წ.

რასაკვირველია, რევოლიუციონერისთვის რიმდენათმე საძრახისია და სათაკილო, რომ იგი იქ კი არ იმ-

*) იხ. კონსტიტუცია რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკისა. მუსელის ლიტ. ა, ბ. გ.

ამხ. ბესო ქელბაქიანს.

ნაჯახი, ეჩო, სალაშინი, ზუზი, ფარგალი,
შენ ამ სახელებს სწავლობდი შეგირდი უსტის,
ირგვლივ სიბნელე გეხვია და ხალხი ანგალი,
მჩაგვრელთა ყიჟინს ისმენდი და ყრუ კენესას სუსტის

——

და უეცრათ გადირიენ თითქოს ღრუბლები—
იგრძენ გრიგალი შენი ხელის გაქნევას უცდის
შენ შეიყვარე მეცნიერთა დიდი შუბლები
და დაეწაფე გონების წვრთნას ყრმობისას უწვრთის.

——

არ შეგეშინა ჟანდარმების ფეხის ბაკუნის
და კითხულობდი მოწიწებით ბუნტარ ბაკუნინს
რაც კი გაიგე უზიარე ამხანაგ მუშებს,
საპროპაგანდოთ დადიოდი თოვლში-სიცხეში,
ბევრჯერ გიცდია სიმშილ და ყოფნა ციხეში—
და შენს სურათებს ურიგებდენ ფარულ ჯაშუშებს.

გრ. ცეცხლაძე.

(ძღვნად ი. ბ—ძეს)

მუშათა კლასის დიდ-ლაშქრობის დროს,
ისევ ჩაგიცვამს ძაძა და ფლასი
თითქოს მაგ თალხში, უნდა ჩაიქროს
იმედი წმიდა, სავსე, ხალასი.

———

ამგლოვიარებ მაგ გულს ცეცხლეულს,
როგორც თორნიკე სევდით დამწვარი
და თუ გვაჩვენებ მაგ ბნელ ძოწეულს,
გულს გისვენია მონასტრის ჯვარი...

———

მოლალატეს გრძნობ, თითქოს ე მანდა.
გესმის ჩურჩული, შხამიან ხმების...
და გეცინება, რომ კვლავ კომანდა
რისხვის გაისმის ამაყი ძმების...

———

ეხ, ბედის გზაზედ ვინ არ განგმირეს!?.
ვის არ შესძახეს ,,ეი შეჩერდი''!
და შენ, თვით ნაცად. ძველ მესაყირეს
დღეს უფრო გმართებს, გამართო მკერდი...

———

მიტომაც გიხმობს ძველი ლაშქარი,
მარად ცეცხლეულს, მარად მგზნებარეს,
რომ შენ დაჭრილი, მაგრამ არ მკვდარი
ისე უძლოდე ჩვენს წითელ ჯარებს.

ს. კოლხიდელი

ყოფებოდეს, სადაც რევოლიუციის ალი გუგუნებს, არამედ ძალიან დაშორებული იყოს ამ ადგილსაც და იმ ხიფათს, რომელსაც რევოლიუციის ალმური ყოველ წამს გიმზადებს. მაგრამ სხვა საქმეა. ამ ჟამათ კი ჩვენთვის აშკარაა, რომ მარქსი იმ ღრმა რწმენას მაინც ატარებდა თვის გონებასა და გრძნობაში, რომ 1871 წ. წარმოებდა პარიჟის ქუჩებში სოციალური რევოლიუცია და ამიტომ მას ხელს უწყობდა. სხვაგვარათ რომ ვიფიქროთ, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ მარქსი გულწრფელი არ იყო, ცბიერობდა და მხოლოდ სხვათა, ე. ი. კომუნართა მიესატყუებლათ აგზავნიდა დირექტივებს, რომლებისაც თვით მას არა სჯეროდა რა და არც სწამდა. ასე რომ ვიფიქროთ, მაშინ მარქსი დიდ ვინმე ოინბაზათ გვეჩვენება. ასეთ რასმე კი იმის მოძღვრების მიმდევარნი და აღმსარებელნი ვერც აკადრებენ მას. ამიტომ უნდა უეჭველათ მივიღოთ, რომ 1871 წ., საფრანგეთის კომუნის წარმოების დროს, მარქსი დარწმუნებული იყო და ბეჯითად სჯეროდა. როა იგი აწარმოებდა და მეთაურობდა სოციალური რევოლიუციის დასაწყისს, ამ რევოლიუციას აღრმავებდა და ელოდა, რომ ეს რევოლიუცია მოეფინებოდა მთელ ევროპას, ალი კი ამ დიდ რევოლიუციისა მთლად დასწვავდა და ფერფლად აქცევდა ბურჟუაზიულ წესწყობილებას.

ჩვენ ისიც ვიცით, რომ 1849 წ. მარქსი სწერდა, რომ ,,ახალი რევოლიუცია შესაძლებელი იქნება, როგორც შედეგი ახალი კრიზისისაო.'' უნდა ვთქვათ, რომ 1847 წ. იყო ის წელიწადი, როცა საშინელი და ფრიად ფართო ფარგლებში წამოიჭრა წარმოების მსოფლიო კრიზისი. მარქსი ამის შედეგადა თვლის და ამას უკავშირებს 1848 წ. რევოლიუციას. 1849 წ. ეს კრიზისი დანელდა და საფრანგეთისა, ინგლისისა და ერმანიის ფაბრიკები და ქარხნები ამუშავდა ამავე დროს ამუშავდა კალიფორნიის ოქროს მადნები. სწორედ ამიტომაც განაცხადა მარქსმა, რომ, რაკი კრიზისი გათავდა, წარმოება გაჩაღდა, რევოლიუციამ კი ვერ მიაღწია თვის შედეგსო, ამიტომ ტყვილი ცდა არის აწი რევოლიუციის წარმოებისა, გაღრმავებისა და განგრძობისათვისო. რევოლიუცია დამარცხდა, აწი, ახალ კრიზისამდი, იმის წარმოება კონტრ-რევოლიუცია იქნებაო.

ასე ამბობდა მარქსი და ასეც უნდა ეთქვა, რადგან ჩვენ კარგად ვიცით, თუ რა მტკიცე და გარდაუვალი ქვა-კუთხედია მარქსის მოძღვრებისთვის წარმოების საეკონომიო კრიზისები. თუ ეს ასეა, მაშინ ისიც ცხადია, რომ დღეს ხომ უსაშინელესი კრიზისია წარმოებისა მთელ მსოფლიოში. მაშასადამე, თუ მარქსის გვჯერა— მგონია კი, რომ ჩვენებური სოციალ დემოკრატია ვალდებულია მას დაუჯეროს — დღეს სწორედ ის დიადი დღეა, როცა თავი იჩინა დასაწყისმა დიდის სოციალური რევოლიუციისამ. მაშასადამე, დღევანდელი დღის ვითარება სწორეთ ამ თვალსაზრისით უნდა იქნეს შეფარდებული. ვინც ამის წინააღმდეგია, მას ამ ვითარების არაფერი გაეგება და მას არც რაიმე მარქსისა სწამს: იგი მარქსის მოძღვრების ძირითად საფუძველს უარსჰყოფს.

ტყუილა იმართლებს თავის თავს ასეთი პირი, თუ იფიქრებს, რომ მარქსის ,,კაპიტალ''-ში იმ აზრისა იყოო, რომ სოციალიზმი თვით ბურჟუაზიული პროცესის დროს, ამ პროცესის წიაღში, თანდათან თავის თავათ დამყარდებაო. უაღრესი მნიშვნელობა ამ კაპიტალური ნაწარმოების ეს აზრი კი არ არის, არამედ სოციალისტთა აზროვნებაში იმ ბეჯითი რწმენის დამყარება, რომ სოციალიზმი, რაგვარი განსაცდელი და მარცხიც არ უნდა განიცადოს მან შრომის მეუფების დამყარებისთვის, მაინც განხორციელდებაო. ეს აზრი კი მაშინ ,,კაპიტალის'' დაწერის დროს, დიდ-მნიშვნელოვანი იყო. იყო კი ასეთი იმიტომ, რომ 1848 წ. რევოლიუციის დამარცხების შემდეგ სოციალისტთა შორის ისეთი სულიერი სასოწარკვეთილება დამკვიდრდა, რომ ამათაც აღარ სჯეროდათ, რომ სოციალიზმი ოდესმე განხორციელდებოდა: იგი სამუდამოთ დასამარებული ეგონათ. ამის უტყუარი დამამტკიცებელია ის ისტორიული ფაქტი, რომ სოციალისტთა მოქმედება და პროპაგანდა დანელებული, მოდუნებული იყო მთელი თექვსმეტი წლის განმავლობაში, ე. ი. 1864 წლამდი, როცა ლონდონში პირველად შესდგა ინტერნაციონალი, რომელმაც სოციალიზმის ,,ციაგი ცისა'' გაიკაფა. ამასვე ადასტურებს სულიერი განცდა ლუი რეიბოსი, რომელიც ორმოციანი წლების სოციალისტთა შორის ერთი თეორეტიკოსთაგანი და პრაქტიკიც იყო და რომელიც 1848 წ. მარტის შემდეგ ემიგრანტათ იყო ინგლისში და რომელიც გაანჩხლებით განაცხადებდა ხოლმე, როცა მას სოციალიზმის შესახებ ჩამოუგდებდენ ლაპარაკს: ხომ კარგათ ხედავთ, რომ სოციალიზმი უკვე სამუდამოდ მკვდარი და დასამარებულია და მის შესახებ ამ ჟამათ და აწიც ლაპარაკი მხოლოდ ლეშზე, მძორზე ლაპარაკიაო, რაიც სრულებით სასიამოვნო არ არის ამ ლეშის ჰირისუფლისთვის და მოამაგისთვისო ამასვე ადასტურებს ისიც, რომ, როგორც ზევით აღვნიშნე, მარქსი ახალის სოციალური რევოლიუციის დასაწყისს უკავშირებდა შემდეგს, მორიგს საეკონომიო და სამრეწველო კრიზისს. ასეთი კრიზისი კი მოხდა 1857 წ. მაგრამ ამას არ მოჰყოლია, ამას არ გამოუწვევია არც ამბოხება, არც რევოლიუცია. მხოლოდ ერთ ადგილას, სახელდობრ რუსეთში, ამას მოჰყვა სამოციანი წლების ოდნავი რეფორმები. ეს რეფორმები კი შედეგი იყო არა 1857 წ. საეკონომიო კრიზისა, არამედ მხოლოდ და მარტო იმისი, რომ რუსეთი ყირიმის ომში დამარცხდა. აი, ასეთი მარცხების შემდეგ დამყარდა სოციალისტთა შორის ის სულიერი განცდა, რომელმაც სწორეთ ეს სული გაატიალა და რომელიც ცბიერათ მათ ჩასჩურჩულებდა, რომ სოციალიზმი განსახორციელებელი საქმე აღარ იყო.

ამათ გული გაუტყდათ, სულ გაუტიალდათ და სასოც წარიკვეთეს. სწორეთ ამიტომაც ამათი მოქმედება და ნებისყოფა დასცხრა, დანელდა და დასუსტდა. ამას ამოწმებს ის გარემოება, რომ 1848 წლიდან 1857 წლამდი ჩამი-ჩუმი აღარ გაისმოდა სოციალიზმის შესახებ. მაშინ, როცა ორმოციან წლებში თამამი და მედგარი პროპაგანდა სწარმოებდა ამის შესახებ. გამოდიოდა რამდენიმე ათეული გაზეთი და ჟურნალი სოციალისტებისა, ხდებოდა ყრილობანი და მანიფესტაციები, წარმოებდა მედგარი და შეუპოვარი იერიშები ჩარტისტებისა ერთი ასეთი ამბავი რამეთ ღირს, რომ რობერტ ოუენმ ათი წლის განმავლობაში პირადათ ათასამდი სიტყვა წარმოსთქვა, ხუთასამდი ცალკე ადრესი გამოსცა, ორი ათასამდი გაზეთი და საჟურნალო სტატია დასწერა და სამასამდი ცალკე მგზავრობა შეასრულა. საფრანგეთში, გარდმ სოციალისტური ჟურნალ-გაზეთებისა, იწერებოდა პროექტებიც კი სოციალიზმის პრაქტიკულად განხორციელებისთვის. პრაქტიკული ნაბიჯიც კი გადგმული იყო, როგორც ამას ადასტურებს მდიდარისა და შეძლებული ფაბრიკანტის გოდენის ცდა, გოდენი აღტყინებული პატივისმცემელი იყო ფურიესი და მან ამის პატივის საცემაუ ფამილისტერი მოაწყო, გადასცა რა თვისი საეტალურგო ქარხაია მუშებს.

ასეთ აღტყინებასა და საქმიანობას ადგილი აღარ ჰქონია ორმოცდაათიან წლებში. არც გასაკვირველია, რადგან ლუი ბონოპარტეს მიერ გამოწვეულმა ,,კუპ დეტა''-მ პარიზიდან და საფრანგეთიდან რამდენიმე ათასეული სოციალისტი და მღაცე რწმენის ადამიანი განდევნა. ესენი უცხოობაში, ემიგრანტობაში საშიელ გაჭირვებას იტანდენ და განიცდიდენ. ასევე მოხდა გერმანიაში, საიდანაც კონტრ-რევოლიუციამ ერთ მილიონამდე შეგნებული მუშა და ინტელიგენტი განდევნა. ესენიც აუტანელ პირობებში და გაჭირვებაში მოემწყვდენ. ინგლისში კი ჩარტიზმი ძლეულ იქნა. აი, ასეთი იყო ნამდვილი ცხოვრების ვითარება და ამ ვითარებაზე აღმოცენდა შესაფერივე სულიერი განცდა.

ტიბერიელი.

(დასასრული იქნება)

საქართველოს რევოლიუციონერ-სინდიკალისტ მაუვრალთა კავშირის პროგრამის ზოგადი დებულებანი.

მოკლე განხილვა მთავარი მუხლებისა.

4, კომუნიზმი.

რაკი თანამედროვე ბურჟუაზიული წესწყობილება, კერძო საკუთრებაზე დამყარებული, უდიდესი უსამართლოებაა, მაშ რა იხსნის კაცობრიობას, მის ნანგრევებზე და მის სანაცვალოდ რაგვარი წესწყობილების შემოღება და დამყარება გვსურს, **რა** არის ჩვენი ვალი?

ამ კითხვაზე ორი სისტემა იძლევა გარკვეულ პასუხს: კომუნიზმი და კოლექტივიზმი.

სახელმწიფო—ე. ი. შრომის დაქირავებაზე დამყარებული წესწყობილება შედეგია მიწისა და საწარმოო იარაღების კერძო საკუთრებად მითვისება — მონოპოლიისა. სალარიატი აუცილებელი პირობა იყო კაპიტალისტურ წესწყობილების განვითარებისა და ის მასთანვე უნდა მოკვდეს. თუმცა კოლექტივისტები თავიანთი „სამუშაო ჩეკებით" მის გადარჩენას სცდილობენ, მაგრამ საწარმოო იარაღების გასაზოგადოებრივობას—შედეგად უსათუოდ საერთო შრომის ნაყოფის საერთო მოხმარებაც მოჰყვება. თანამედროვე კონფლიქტის მოსასპობად კოლექტივიზმი სრულიად უძლურია და მხოლოდ კომუნიზმს შეუძლიან მისი შეწყვეტა და მოგვარება—კომუნიზმი აუცილებელია.

კომუნიზმს ახასიათებს კარგათ ცნობილი მარტივი და მკაფიო ფორმულა: **ყველასგან შეძლებისამებრ და ყველას მოთხოვნილებისამებრ**, რაც იმას ნიშნავს, რომ მწარმოებელ საზოგადოების ყველა წევრს განურჩევლად ექნება თანასწორი უფლება დაიკმაყოფილოს ყველა თავის მოთხოვნილება საზოგადო ქონებიდან. რამდენიც შემიძლიან და რაც შემიძლიან, იმდენს ვმუშაობ, ჩემი ძალისა და ცოდნის დაგვარად შემაქვს ჩემი წვლილი ცხოვრების საუკეთესოდ მომწყობ შრომაში და სამაგიეროდ, რაც მჭირია, იმდენი მიმაქვს ამ საზოგადო შრომის ნაყოფიდან. ამ ჩვენს იდეალს პრინციპიალური მტერი არა ჰყავს და ყველა თანახმაა აღიაროს მისი უპირატესობა, და არც ისე ძნელია ამის განხორციელება, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. დაწინაურებულ ქვეყნებში დღესაც კი შეიძლება, რომ ადამიანმა 5 საათის მუშაობით დაიკმაყოფილოს ყველა თავისი უმთავრესი მოთხოვნილებანი, როგორც მაგალითად: სჯმელი, სასმელი, ტანსაცმელი და ბინა, რის უქონლობით დღეს გაჭირვებაშია მთელი კაცობრიობის ცხრა მეათედი; ცხრამეტი საათი კიდევ [illegible] დრო მის ხელში იქნება; აქედან მოსასვენებლადაც [illegible] რვა საათი, თერთმეტი საათი კიდევ სხვა სულიერ და ზედმეტ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად რჩება.

როდესაც მოზარდი თაობა მეცნიერულ განვითარებასთან ერთად პროფესიონალურ აღზრდასაც მიიღებს და ყოველი ადამიანი ამ ცოდნით ივარჯიშებს გონებრივად და ფიზიკურად ახალი ტეხნიკასა და მანქანების საშუალებით, როდესაც დედამიწა განსაზოგადოებრივებული შეიქნება და მისი წარმოება საზოგადოების მოთხოვნილებათა გვარად მოწესრიგდება, როდესაც მეურნე შესძლებს თანამედროვე ტეხნიკის მოხმარებას მეურნეობაში, და მიწასაც ასჯერ მეტ ნაყოფს გამოაღებინებს და მისი წიაღიდან უთვალავ სიმდიდრეს ამოიღებს, საზოგადოების სიმდიდრე იმდენად გაიზრდება ამ მცირედი შრომითაც, რომ არავისთვის არაფერი დასაშური და დასაკლები არ იქნება. და კომუნიზმი მაშასადამე დატკბა თანასწორობა კი არ იქნება, არამედ კმაყოფილთა ბედნიერება.

მაშასადამე ჩვენ კომუნიზმი ავირჩიეთ და დავისახეთ ჩვენ იდეალად იმისთვის, რომ მხოლოდ ის აკავშირებს ჰარმონიულად წარმოების განვითარების ინტერესს და პიროვნების თავისუფლება-თანასწორობის მისწრაფებას. თუ სოციალიზმისადმი მისწრაფება მოითხოვს სახელმწიფოს დარღვევას და მოსპობას, მაშინ მხოლოდ კომუნიზმი შეიძლება აღიარებულ იქნას მომავლის ეკონომიურ ფორმად, რადგანაც ის წარმოადგენს არა სახელმწიფოებრივ ეკონომიურ სისტემას. კოლექტივიზმი კი იძულებულია ან შეინახოს სახელმწიფო, ანაც ნაწილ-ნაწილად აღადგინოს მისი ფუნქციები. ჩვენ კომუნიზმი გვრწამს იმტომაც, რომ კომუნისტურ სისტემაში მწარმოებელთა კომუნა თვითონ არის თავის ბატონ-პატრონი; თავის ნებით, თავის ინტერესებისა და მოთხოვნილებათა მიხედვით უკავშირდება სხვა კომუნებს და აწესრიგებს წარმოებას. კომუნისტური სისტემა სრული კომუნიზმია, რადგან იგი საწარმოო იარაღებისა და საზოგადოებრივ სიმდიდრის განსაზოგადოებრივებასთან ერთად ასაზოგადოებრივებს მოხმარებას და მით სრულიად იცილებს თავიდან იმ დაბრკოლებათ, რომელნიც კოლექტივიზმს ახასიათებენ. ამასთანავე კომუნიზმში წარმოება აღებ-მიცემობისა, სალარიატის ანუ შრომის დაქირავების ნიადაგზე კი არა, საერთო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ნიადაგზე წესრიგდება. იქ სამუშაოს მიმცემი და შრომის დაჯილდოვება არ არსებობს და არც საჭიროა. როგორც ეხლა მწარმოებელი მეპატრონე თავის თავს სამუშაო ქირას არ უნიშნავს, რადგანაც ეს ერთი ჯიბიდან მეორეში გადატანა იქნებოდა, ისე კომუნა თავის წევრებს სამუშაო ქირას არ უნიშნავს: კომუნა აწარმოებს და იგივე იქნებს თავის გემოზე თავის საწარმოებს.

თვით მიდრეკილებაც ეკონომიურ ევოლიციისა ისეთია, რომ მისი დასკვნა და ბოლოც უსათუოდ კომუნიზმი უნდა შეიქნეს. აბა დააკვირდით თანამედროვე ცხოვრებას: გზები, ხიდ-ბოგირები, მოედნები, მუზეუმები, სახალხო ბაღები, ბიბლიოთეკა-სამკითხველოები უკვე გასაზოგადოებრივებულია; ბევრგან კიდევ სახელოსნოები და დაწყებითი სკოლები,

ათასობით კომუნები ამერიკაში, ეკონომიურად სრულიად დამოუკიდებელნი სახელმწიფოსაგან, სხვადასხვა დაწესებულებანი წარმოებითი ხასიათისა კანონებსა და სახელმწიფოს გარეშე, კორპორაციები რომელთაც ზოგიერთ ქვეყნებში თვალსაჩინო ადგილები უკავიათ. აი მაგალითები, რომელნიც ნათლად გვიმტკიცებენ კომუნიზმისაკენ მისწრაფებას დღევანდელსავე მომაკვდავ წესწყობილებისავე გულში, როდესაც მათ აღმოცენებაგანვითარებას ყველაფერი ხელს უშლის.

სოციალიზმის და სოციალისტურ მისწრაფებათ ყველა ეკონომიურ სისტემათა შორის, კომუნიზმი აკმაყოფილებს მეტის სავსებით და სინამდვილით, თუ სოციალიზმი ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების აუცილებელი შედეგი და დასკვნაა, კომუნიზმიც მისი მიუცილებელი ფორმაა.

დროა ყველამ შევიგნოთ და ვიცოდეთ, რომ მთელი სიმდიდრე ქვეყნისა, საწარმოო იარაღები, მილიონობით რკინის მონები, რომელთაც ჩვენ მანქანებს ვუწოდებთ და სხვა მრავალი საკვირველებანი ჩვენი დროისა წარმოადგენენ ნაყოფს მთელი ხალხის ნაშრომისას, ამიტომ მათი ვისგანმე მითვისება უსამართლოც არის და უსარგებლოც, რადგან მათ შექმნაში ყველა იღებდა შეძლებისა დაგვარად მონაწილეობას და არც არავითარი საშუალება არ არსებობს იმის გამოსაანგარიშებლად, თუ რა ეკუთვნის თვითეულს კერძოთ. ყოველივე და ყველაფერი ყველას სჭირია და ამიტომ ყოველივე და ყველაფერი ყველას ეკუთვნის!

გვეყო ამდენი ტანჯვა, გვეყო მოთმინება! გვეყო ამდენი გაუგებარი ფორმულებიც, როგორც მაგ. „უფლება შრომისა“ ან და „ყველას ნაყოფი მისი შრომისა“. ჩვენ გვინდა „უფლება უმაყოფილებისა“,—„მაყოფილება ყველასთვის“.

(შემდეგი იქნება)

———

დამფუძნებელი კრება და კონსტიტუცია.

(გაგრძელება იხ. „ახ. ნაკ.“ № 34)

აი, ამიტომ ჩვენ ვშიშობთ, რომ თუ ხალხი კვლავინდებურად უმოქმედოთ იქნა, არ შეეცადა თავის გავლენის ქვეშ დააყენოს დამფუძნებელი კრება, რომ მას ის დააწერიოს, რაც ნამდვილად არის ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში, ე. ი. რომ ხალხის უმრავლესობაა მდგომარეობის ბატონ-პატრონი და სურს თავის მდგომარეობა კანონითაც განამტკიცოს, მაშან ცუდათ იქნება და ხალხი დიდის ხნით დარჩება სოციალ-დემოკრატიის აპეკის ქვეშ. რაიც არსებითად იმავე ხალხის უფლების დამცირებას და მის დაბეჩავებას მოასწავებს, და სხვას არაფერს. ხალხისათვის, თავმოყვარე, თავისუფლების მოტრფიალე ადამიანისათვის ბოლოს და ბოლოს სულ ერთია ვინ იქნება მისი უფლების ფეხქვეშ გამთელავი—ძველი ჟანდარმი, თუ თანამედროვე მილიციონერი, ძველი იმპერიის ცენტრალიზმი, თუ სოციალისტების ცენტრალიზმი და დიქტატურა.

აქედან დასკვნა ერთია: ჩვენი სოც.-დემოკრატია ვერ უმზადებს ჩვენს ხალხს მაინც და მაინც კარგ დემოკრატიულ წყობილებას და არცა გვაქვს იმედი, რომ დამფუძნებელ კრებაში მათ თავისი აზრი და პოპოლიტიკა შესცვალონ.

ერთად ერთი ხსნა ამ მდგომარეობიდან ჩვენი თვითმოქმედებაა, მაგრამ დაჭერა ხელში იმ უფლებებისა, რომელიც ჩვენ ბრძოლით და რევოლიუციით მოვიპოვეთ და ვერავის ვერ გადავსცემთ, ვერ დავუთმობთ ჩვენს უფლებებს, თუნდა ჩვენი რწმუნებულების როლი არხი-სოციალისტებმა იკისრონ. ყოველი ჩვენგან არჩეული პირი სახელმწიფო, ან საზოგადო თანამდებობაზე ჩვენ მიგვაჩნია ჩვენ მსახურად და ჩვენს წინაშე პასუხისმგებლად, და არა ჩვენი უფლების მტვირთველ ადამიანად.

ამიტომ ჩვენ მტკიცედ უნდა ვიდგეთ ჩვენს რევოლიუციონურ პოზიციებზე დ შევებრძოლოთ ძველებურად ყოველგვარ ცდას ჩვენი უფლებების უზურპაციისას, საიდანაც არ უნდა იყოს ეს ცდა—მარჯვნიდან, გინდა მარცხნიდან.

რა ვსთქვათ ფვდერალისტების შესახებ?

მათი სახელწოდება თავისთავად გულისხმობს, რომ ისინი უნდა იყვნენ პოლიტიკური დეცენტრალიზაციის აღმსარებელნი და მატარებელნი. მათი სახით თითქოს მოსარჩლე უჩდება ჩვენში იმ წყობილებას, რომელსაც ჭეშმარიტი დემოკრატიული, სახალხო მართველობა ჰქვია და რომელიც შეადგენს ჩვენს სანუკვარ მისწრაფებას.

ეს ასეც უნდა ყოფილიყო, სწორედ ეს არის აზრი და შინაარსი ფედერალიზმის სისტემისა, რომელსაც ქადაგებდა განსვენებული არჩილ ჯორჯაძე და რომლის მეთაურობითაც დაარსდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია.

მაგრამ, სამწუხაროდ, მარჯვენა ფრთა ამ პარტიისა, რომელსაც ამ ბოლო დრომდის ხელთ ეპყრა პარტიის მესვეურობა, ასცდა ნამდვილ გზას, რამელიც არჩილმა გაკაფა, და იგი სადღეისო პოლიტიკას გაჰყვა. მან დაიწყო ქადაგება საქართველოს ავტონომიაზე, რომელსაც ფედერალიზმი სრულიად არ იცნობს. ფედერაცია შესაძლებელია მხოლოდ, როგორც თავისუფალი კავშირი დამოუკიდებელ სუვერენულ ერთეულთა შორის და ავტონომიის მართვა ჩვენ უნდა გავსინჯოთ როგორც დროული ლოზუნგი, მინიმალური მოთხოვნილება ანდაზის თანახმად: „სულ არაობას ცალ უღელა ხარი სჯობიაო“.

შეიძლება ამას შეურიგდეს კაცი, რადგან ამ მკაცრ პირობებში ყოველგვარ მისწრაფებას ფრთა ეკვეცებოდა მაგრამ შემდეგ, როდესაც დიდმა რევოლიუციამ ზღუდეები დაანგრია და საფრთხობელა მოსპო, ფედერალისტები ისევ ავტონომიაზე გაჰკიოდენ და მხოლოდ დაგვიანებით ახსენეს რუსეთის ფედერაცია. საზოგადოებაში გაუგებრობა იყო. ყველას ეგონა, რომ ამ წყობილებას პეტროგრადიდან დაარიგებენ და გავბედნიერდებითო და ფედერალისტებს ერთხელაც არ აუხსნიათ საზოგადოებისათვის, რომ ნამდვილი ფედერაციის, ან უკედ კონფედერაციის დამყარება შესაძლებელია მას შემდეგ, როცა ყველა კუთხე და ერი მოიპოვებს სუვერენობას, დამოუკიდებლობას; რომ ფედერალიზმის სისტემა მოითხოვს დეცენტრალიზაციას თვით ფედერატებშიაც, ცალკე ერთეულებშიაც და ერთხელაც არ ცდილან ეს აზრი გაევრცელებიათ ხალხში ან პრესის ან პარლამენტის ტრიბუნის საშუალებით.

პირიქით, მათ სრულის დამშვიდებული სინდისით ხელი მოაწერეს სოც.-დემოკრატების საარჩევნო კანონზე და მით ანდერძი აუგეს როგორც თავის ფედერალისტობას, ისე დემოკრატობასაც.

თუმცა მათ გავლენა არ ექნებათ ჩვენს დამფუძნებელ კრებაში, მაგრამ მაინც არა გვაქვს იმედი, რომ მათ ხმა აღიმაღლონ სოც.-დემოკრატიის ყოვლის ჩამყლაპელ ცენტრალიზმის წინააღმდეგ და გამოესარჩლონ დემოკრატიის ინტერესებს.

ამრიგად ჩვენ მივადექით გაუვალ გზას. ავირჩიეთ დამფუძნებელი კრება და არავინ კი არ გვეგულება იქ ისეთი, რომელმაც ზედმიწევნით იცოდეს ჩვენი სულის კვეთება ღა ჩვენი სურვილი.

ამ გზიდან გამოსავალი ერთია: დავაყენოთ დამფუძნებელი კრება რევოლიუციონური დემოკრატიის გავლენის ქვეშ და დავწერინოთ მას ის, რაც ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია.

რა მიგვაჩნია საჭიროდ, როგორი უნდა იყოს ჩვენი კონსტიტუცია?

რომ ჩვენი რესპუბლიკა ეზიაროს ნამდვილ თავისუფალ დემოკრატიულ წყობილებას აუცილებელია:

1) მწყობრი დეცენტრალიზაციის გატარება რესპუბლიკის მართვა-გამგეობაში და მოწყობა მისი ფედერალიზმის პრინციპის მიხედვით.

2) უნდა შეიქნეს ადგილობრივი დამოუკიდებელი კანტონალური თვით მართველობა მაზრების საზღვრებში.

3) დაწესდეს სათემო-სასოფლო-თვითმართველობა, რომელიც უნდა იქნეს საფუძველი კანტონის პოლიტიკური ორგანიზაციისა.

4) დაწესდეს უფლება რეფერენდუმისა და საკანონმდებლო ინიციატივისა შესაფერი გარანტიებით.

5) დაწესდეს უფლება „ვეტო“-სი და საკანონმდებლო ორგანოს ვადამდის დათხოვისა ხალხის დადგენილებით.

6) ადმინისტრაცია მთლად თემთა თვითმართველობის ხელში უნდა იქნეს.

7) ჯარის მაგიერ, როგორც კი ეს შესაძლებელი იქნება, დაწესდეს სახალხო მილიცია,

8) შეიზღუდოს მიწის საკუთრება დაწესებული ნორმით და ჩამორთმეული მიწები გადაეცეს სასოფლო თვითმართველობას უმიწაწყლოთა ან მცირე მიწის მქონეთა ამხანაგობათათვის.

9) შეიზღუდოს მწარმოებელთა მესაკუთრეობის უფლება მუშათა კანტროლის შემოღებით და მათი გამგეობაში და მოგებაში მონაწილეობით.

სხვა საზოგადო ხასიათის საჯარო უფლებანი, რომელიც უწერია ყველა დასახელებულ პარტიებს, რა თქმა უნდა კონსტიტუციაში შევა.

მაგრამ როგორ მოვახერხოთ, რომ გავლენა ვიქონიოთ დამფუძნებელ კრებაზე და ჩვენი ნება სურვილი ვუკარნახოთ?

ამისთვის საჭიროა მოვიპოვოთ უფლება დამფუძნებელი კრების დათხოვისა, თუ ამას საჭიროთ დავინახავთ. მაგრამ ვის მოვსთხოვოთ ეს უფლება? ახირებული მდგომარეობაა. თითქოს ჩვენა ვართ მდგომარეობის ბატონები და უფლებას კი სხვაგან ვეძებთ. მთავრობა ამ უფლებას ვერ მოგვცემს, რადგან ის პასუხისმგებელია დამფუძნებელი კრების წინაშე. ეს უკანასკნელი მით უფრო ნებით არ დათანხმდება დაგვითმოს იგი. მაშ როგორ მოვიქცეთ?

ერთად ერთი საშუალებაა, ჩემის აზრით: ყოველ სოფელში უნდა დაარსდეს სასოფლო საბჭოები და მათ იკისრონ სოფლის ხელმძღვანელობა. ქალაქად უბან-უბან დაარსდეს აგრეთვე საბჭოები ამავე მიზნით.

მათ გაფაციცებით უნდა ადევნონ თვალ-ყური დამფუძნებელი კრების მოღვაწეობას და საჭიროების დროს მოახდინონ მწყობრი გამოსვლა რეზოლიუციებით, პეტიციით, დემონსტრაციით, ერთი სიტყვით ყოველგვარი მშვიდობიანი საშუალებით. თუ ამან არ გასჭრა, ჩვენ მივმართავთ უკიდურეს საშუალებას: ყველა საბჭოები თავის საჯარო ყრილობაზე გამოიტანენ დადგენილებებს დეპუტატთა მანდატების გაუქმების შესახებ და ამით დამფუძნებელი კრების დადგენილებებს მოუსპობთ კანონის ძალას და მოვითხოვთ მის დაშლას.

აქ უნდა დავსვათ წერტილი, რადგან ძნელი წარმოსადგენია თუ რა სიტუაცია შეიქმნება ამის შემდეგ და რა ზომის მიღება დასჭირდება ხალხს უზურპატორთა წინააღმდეგ.

ამაზე მაშინ მოვიღაპარაკოთ.

ახლა კი ნებას მივსცემ ჩემს თავს ორიოდე სიტყვით ერთგვარი რეზიუმი გავუკეთო მთელ ზემოდ ნათქვამს.

რევოლიუცია თანდაყოლილი და ღვიძლი შვილია სახელმწიფოსი. მისი, რევოლიუციას მიზანია აღადგინოს ის დარღვეული თანასწორობა, ძმობა, ერთობა და სამართლიანობა, რომელიც ახასიათებდა პირველყოფილ დედათმთავრულ კომუნას კერძო საკუთრებას, კლასებად დაყოფვას და დესპოტიას მოკლებულს,

რევოლიუციით კაცობრიობა ლოღიკურად ისწრაფვის კომუნიზმისაკენ და ამ ბრძოლით თანდათან იკაფავს გზას მისაკენ. ამ მხრივ სოციალისტური წყობილების დამყარება მართლაც აუცილებლობის რკინის კანონს ემორჩილება. ადამიანი ინსტიქტიურად ისწრაფვის ამ წყობილებისაკენ, რადგან წარმოუდგენელია სამართლიანობის და თანასწორობის აღდგენა, თუ არ მოისპო კერძო საკუთრება—ეს საფუძველი თანამედროვე ბოროტებისა. კერძო საკუთრების მოსპობა ლოღიკურად ნიშნავს კოლექტიური საკუთრების დამყარებას, ანუ სოციალიზმს.

ი. ვარაზაშვილი.

(შემდეგი იქნება).

———

ქუთაისის ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა კრება

ოთხს ივლის გამგეობის შენობაში შედგა ქუთაისის ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა საზოგადო კრება. კრებამ სხვა კითხვებთი შორის იქონია მსჯელობა მოსამხახურეთა კავშირის ზოგიერთ წევრთა დატუსაღების შესახებ. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ დიდი ხმის უმრავლესობით გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „ქუთაისის ქალ. თვითმართველობის მუშათა და მოსამსახურეთა საზოგადო კრებამ, მთავრობის პროტესტ საზოგადოთ მუშათა ინტერესების დამცველათ და კერძოთ კი პროფესიანულ კავშირის გამგეობის ზოგიერთ წევრთა დატუსაღების გამო ოა მოითხოვს დაუყონებლივ მათ განთავისუფლებას“. აღნიშნულმა რეზოლიუციამ დიდი აღშფოთება გამოიწვია ქუთაისის ადმინისტრაციას შორის. მეორე დღესვე მილიციის უფროსმა დაიბარა რამოდენიმე მოსამსახურე და სასტიკი გულისწყრომა გამოთქვა, რასაც შედეგათ ის მოყვა, რომ მოსამსახურები 7 ივლისს ხელმეორეთ შეიკრიბენ კრებას არ დასწრებია უმეტესი ნაწილი მუშებისა, აგრეთვე დატუსაღების შიშის ქვეშ მყოფი ზოგიერთი მოსამსახურები, სამაგიეროთ გამოაცხადა კავშირიდან გაძევებული მოსამსახურე ვასაძე, ის ლამობდა კრებაში მონაწილეობის მიღებას, იარა კრების თავჯდომარემ გააძევა. ასეთ შემადგენლობის კრებამ გამოიტანა შემდეგი შინაარსის მეორე რეზოლიუცია „ეთხოვოს ქალაქის გამგეობას იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რათა განთავისუფლებულ იქნენ ისინი არ არიან დატუსაღებული პოლიტიკური ხასიათის მიზეზით“

„გლეხიძე“

———

ხაშურის ს.-ფედერალისტთა ორგანიზაციას.

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის უახლოეს ნომერში ადგილი დაუთმოთ ჩვენს პატარა განცხადებას ხაშურის ორგანიზაციას საყურადღებოთ. ვაცხადებ რომ მე თავს ვანებებ საქართველოს სოციალისტ ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიას ვინაიდან არ ვიზიარებ მათ პრინციპებს და გადავდივარ რევოლიუციონურ სინდიკალისტებში და არა ბალშევიკებში მაშასადამე უადგილოა ისეთი ჭორიკანობის ქსელის გაბმა და ჩემი შიგ გახვევა თითქოს თქვენი ტერმინით რომ ვიხმარ ოთ „გავბალშევიკებულიყო“.

ღრმა პატივცემით ყოფილი თავმჯდომარე (ს.-ფ.) ახალგაზრდათა ორგანიზაციის

ალექსანდრე ბარამაძე

11 ივლისი 1919 წ.

ქ. ხაშური

———

ჩვენს მხანაგებს

ვინ არ იცის, რომ დღეს ბეჭედითი საქმე მეტად გართულდა და შეუძლებელი ხდება მისი გავრცელება ხალხში, ამიტომ ჩვენი რედაქცია კიდევ მოაგონებს მუშა ამხანაგებს, რომ შეძლების დაგვარათ დაეხმარონ თავის ინტერესების გამომხატველ გაზეთს მატერიალურათ და იდეურად.

რედაქტორ-გამომცემელი.

ხ. რედაქციო-კოლეგია

სტამბა ქართულ ბეჭდვითი ამხანაგის „გოლოვინის ქუჩ., ტელ. 4—73.